დუშეთის მაცნე

№1 (110)
15 მარტი
2022 წელი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პერიოდული საინფორმაციო ბიულეტენი, ვრცელდება უფასოდ

ირაკლი ღარიბაშვილი: „ისტორიამ ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი სტრატეგიულ მიზნად აქცია“

„დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კარგი მმართველობა უკვე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ვამკვიდრებთ ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს“.

2

უკრაინის დასახმარებლად

2

საკრებულოს ქრონიკა

3

ძლიერმა თოვამ პრობლემები შექმნა

4

არჩეულია თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრად

5

მიწის სისტემური რეგისტრაცია დუშეთში

6



4

ჩვენი სამძიმარი

3

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ჩვენს მუნიციპალიტეტში

5

დუშეთის მაცნე 15 წლისაა...

„ისტორიამ ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი სტრატეგიულ მიზნად აქცია“

ირაკლი ღარიბაშვილი: „დღეს ისტორიული დღეა საქართველოსთვის - ქვეყნის სახელით ხელს ვაწერ ევროკავშირის წევრობაზე განაცხადს. ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის გაკეთება კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია საქართველოს ევროპული ინტეგრაციის გზაზე - ეტაპი, რომელიც ჩვენი ისტორიის ახალ ფურცელს შლის და აგრძელებს ჩვენი წინაპრების ძალისხმევას, რომელიც საერთო ევროპულ ოჯახში გაერთიანებისკენ იყო მიმართული.

საქართველო არის ევროპული სახელმწიფო; ჩვენი ქვეყანა, საკუთარი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე, ყოველთვის მიეკუთვნებოდა ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის სივრცეს და დღესაც თავისი ღირებული წვლილი შეაქვს მის დაცვასა და განვითარებაში. „ევროპელობა“ სხვა არაფერია თუ არა იმ ღირებულებებისა და ფასეულობების ერთობლიობა, რომელიც ქმნის ევროპას. თვით საქართველოს ისტორია, რომელიც თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიაა, არის დასტური იმისა, რომ ეს ფასეულობები ქართველი ადამიანის ბუნებაშია და მაშასადამე, განუყოფელია.

ისტორიამ ქართველი ხალხის ევროპული არჩევანი სტრატეგიულ მიზნად აქცია. დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან ჩვენი ქვეყანა თანმიმდევრულად განაგრძობს წინსვლას ამ მიმართულებით და დღევანდელი დღე ჩვენი ძალისხმევის კიდევ ერთი დემონსტრირებაა.

დღეს საქართველო, ისე როგორც არასდროს, ახლოს არის ევროკავშირთან.

2014 წელს, როდესაც საქართველოს პრემიერ-მინისტრის რანგში ხელი მოვაწერე საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას, ავიღეთ უდიდესი პასუხისმგებლობა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის წინაშე, რათა წარმატებით დაგვეწყო სვლა ევროინტეგრაციის გზაზე და ჩაგვეყარა მტკიცე და მყარი საფუძველი ჩვენი ქვეყნის საბოლოო ევროპეიზაციისთვის.

საამაყოა, რომ 2014 წლიდან, ჩვენი ხელისუფლების თანმიმდევრულობითა და საზოგადოების მხარდაჭერით საქართველო, როგორც ევროკავშირის ასოცირებული პარტნიორი, წარმატებით ასრულებს შეთანხმებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და მნიშვნელოვან პროგრესს განიცდის ევროკავშირთან სამართლებრივი, ეკონომიკური და პოლიტიკური დაახლოების კუთხით.

დემოკრატია, კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებების დაცვა, კარგი მმართველობა უკვე ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილია. ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში აქტიურად ვამკვიდრებთ ევროპულ ნორმებსა და სტანდარტებს.

ჩვენი ქვეყნის მოქალაქეები სარგებლობენ უვიზო მიმოსვლით ევროკავშირის/შენგენის სივრცეში, რაც ძალიან კარგი შესაძლებლობაა ჩვენს საზოგადოებებს და ხალხებს შორის მჭიდრო კავშირების დასამყარებლად.

თავისუფალი ვაჭრობა ევროკავშირთან გვაძლევს შესაძლებლობას, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს ბაზარში ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას მივაღწიოთ. ქვეყნის მოდერნიზაცია, ევროპული სტანდარტების შესაბამისად, მთელ რიგ სექტორებში შეუქცევადი გახდა.

შეუქცევადი სწრაფვა ევროპული დემოკრატიის მშენებლობისა და შესაბამისად ევროკავშირის წევრობისკენ საქართველოს გამთლიანებისკენ გადადგმული ნაბიჯია, მჯერა ევროკავშირში ინტეგრაციის გზას ჩვენ ჩვენს აფხაზ და ოს თანამემამულეებთან ერთად გავივლით და მათთან ერთად ავაშენებთ ერთიან ევროპულ, ძლიერ სახელმწიფოს.

ზოგჯერ ევროპაში უჩნდებათ კითხვა: არის თუ არა საქართველო ევროპული კულტურის ქვეყანა. თორემ, ამ კითხვაზე პასუხი საქართველოში ყველასთვის ცხადია. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში.

ფრანგი მოაზროვნის, პოლ ვალერის, დეფინიციის მიხედვით, თუ რომელი ქვეყანა შეიძლება განიხილებოდეს ევროპული სივრცის წევრად, მან სამი ძირითადი კრიტერიუმი ჩამოაყალიბა: 1. ბერძნულ-რომაული კულტურის გავლენა, 2. ქრისტიანული მრწამსი და 3. დემოკრატიული ტრადიცია. ამ კრიტერიუმების მიხედვით, საქართველო, უდავოდ, ევროპული სივრცის, ევროპული ოჯახის წევრია.

საკუთარი ათასწლოვანი კულტურითა და ისტორიით ამაყი ქართველი ერი მუდამ იყო ევროპაზე ორიენტირებული, მისი ღირებულებების ერთგული. მეოცე საუკუნის დასაწყისში ქართველმა ხალხმა შექმნა ევროპულ ფასეულობებზე დაფუძნებული, უაღრესად დემოკრატიული ევროპული სახელმწიფო, რომლის სულისკვეთება და კონსტიტუცია ევროპის დღევანდელ კრიტერიუმებსაც კი ზედმიწევნით შეესაბამებოდა.

1991 წელს აღდგენილი ეროვნული დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობაც ამავე კონსტიტუციას, ევროპულ ღირებულებებს დაეფუძნა და მთავარ გეზად ევროპული ორიენტაცია განსაზღვრა.

ევროპული მომავალი არის საქართველოს ყველა მთავრობისათვის ქართველი ერის მიერ განსაზღვრული პროგრამაც და უალტერნატივო სამოქმედო გეგმაც.

დასასრულს, მინდა მოვიშველიო ცნობილი ქართველი მეცნიერის, ევროპის კონსტიტუციის ავტორის, მიხეილ მუსხელიშვილის (მიშელ მუსხელის) სიტყვები, ადამიანის, რომელმაც გაუსწრო დროს და ერთიანი ევროპის იდეით შეპყრობილმა იწინასწარმეტყველა კიდეც ევროგაერთიანება: „საქართველომ იცის, რომ ევროპას ეკუთვნის. ახლა ევროპამ უნდა გააკეთოს დასკვნები. საჭიროა, საქართველომ დაიმკვიდროს თავისი ადგილი ევროპაში და დასავლურმა ერებმა მიიღონ საქართველო თავიანთ ოჯახში“.

ეს სიტყვები, ისე როგორც არასდროს, პასუხობს დღევანდელ რეალობას. იმედი გვაქვს და ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ დღეს საფუძველი ეყრება ისტორიულ პროცესს, რომელიც საქართველოს ევროპული ოჯახის წევრობამდე მიგვიყვანს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!“

03.03.2022

უკრაინის დასახმარებლად

საქართველოს პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, რეგიონის სახელმწიფო რწმუნებულებისა და მთავრობის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ჩართულობით, მთელი საქართველოს მასშტაბით, უკრაინელი ხალხის დასახმარებლად 100 ტონაზე მეტი ჰუმანიტარული ტვირთი შეგროვდა.

უკრაინელი მოსახლეობის დასახმარებლად ჰუმანიტარული ტვირთის პირველი ნაწილი დუშეთის მუნიციპალიტეტიდან თბილისში უკვე გაიგზავნა.

აქციის ფარგლებში, დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს, ადგილობრივი მოსახლეობისა და სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ემიგრანტების ჩართულობით პირველადი საჭიროების ნივთები, მედიკამენტები და არამალფუჭებადი პროდუქტები შეგროვდა.

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია მადლობას უხდის თითოეულ მოქალაქეს უკრაინის დასახმარებელ ჰუმანიტარულ აქციაში აქტიური ჩართულობისთვის.

ჩვენი სამძიმარი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია მწუხარებას გამოთქვამენ ცნობილი მსახიობის, ბატონი

ელგუჯა (გუჯა) ბურდულის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და სრულიად საქართველოს.

სიამაყით აღვნიშნავთ, რომ ბატონი ელგუჯა დუშეთის მუნიციპალიტეტის 2014-2017 წლების მოწვევის საკრებულოს წევრი გახლდათ და მისთვის ჩვეული შემართებით, პასუხისმგებლობითა და გულწრფელობით ემსახურებოდა მინდობილ საქმეს.

იგი 1941 წლის 1 აპრილს დაიბადა. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი.

1958-1959 წლებში იყო მაშველი თბილისის ზღვაზე; 1961-1964 წწ - საქართველო სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის წევრი; 1964-1984 წწ - ოპერატორი; 1984 წლიდან - კინოსტუდია „ქართული ფილმის“ მსახიობი. გადაღებულია ფილმებში: „ბელურების გადაფრენა“(1977), „მაცგი“ (1979), „მოცურავე“ (1980), „მოქცევა“ 1982), „უძინართა მზე“ (1992) და სხვ. მიღებული აქვს კინოფესტივალის მთავარი პრიზი, მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „უძინართა მზე“ (1992), პრემია „ნიკა“(რუსეთი), მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „უძინართა მზე“ (1993), აგრეთვე - საქართველოს საპატრიარქოს საპატიო სიგელი „საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავის“ აღნიშვნაში შეტანილი მნიშვნელოვანი წვლილისათვის (2000). 1991 წლიდან იყო სიონის ტაძრის სტიქაროსანი.

საკრებულოს ქრონიკა

7 თებერვალს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში გაიმართა საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების გაერთიანებული სხდომა, სადაც განიხილეს დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მართვის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში;

2. ქ.დუშეთში, სამხედრო დასახლების მიმდებარედ არსებული 168 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების შესახებ;

3. ქ. დუშეთში მდებარე 198 კვ.მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციისა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხი, შემდგომში რეალიზაციის მიზნით;

4. ქ. დუშეთში მდებარე 13 კვ.მ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის პრივატიზების საკითხი;

5. დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ აბანოსხევში მდებარე 353 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად დარეგისტრირების საკითხი, შემდგომში იჯარა/პრივატიზების მიზნით;

6. დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ახატანში მდებარე 600 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი #71.64.86.903) პრივატიზების შესახებ;

7. დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ წითელსოფელში მდებარე 2496 კვ.მ დაურეგისტრირებელი მიწის ნაკვეთის და მასზე არსებული შენობა-ნაგებობების პრივატიზების შესახებ;

8. დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭართალში მდებარე უძრავი ქონებიდან (ს/კ #71.54.06.025), დანართის შესაბამისად განსაზღვრული, შენობა #2/1-ში მითითებული ფართის ეკომიგრანტი ოჯახისთვის გადაცემის საკითხი;

9. დუშეთის მუნიციპალიტეტში, ინოს ჭალაში მდებარე 17356 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობების (დანგრეული) სახელმწიფო საკუთრებაში რეგისტრაციის და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადაცემის საკითხი, შემდგომში საქმიანი ეზოს მოწყობის მიზნით;

10. დუშეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჟინვალში მდებარე 18 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ბუნებრივ რესურსებზე დამაგრების საკითხი.

***

9 თებერვალს გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომა, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გამოცემული ანგარიში განიხილეს.

***

11 თებერვალს საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა და ინფრასტრუქტურის კომისიების გაერთიანებული სხდომა გაიმართა, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ცვლილების პროექტი განიხილეს.

***

16 თებერვალს გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ინაშვილი უძღვებოდა.

სხდომაზე ხმათა უმრავლესობით იქნა მიღებული დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი - დუშეთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის თაობაზე.

***

25 თებერვალს გაიმართა დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის განხილვა;

2. ააიპ არაგვის დაცული ლანდშაფტის ტერიტორიის წარმომადგენლობითი ორგანოს (საბჭო) შექმნისა და მისი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ;

3. დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - სოფ. ჭართალში მდებარე უძრავი ქონებიდან 181, 82 კვ.მ საცხოვრებელი ფართის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ, შემდგომში ფ/პ ლიანა ლალიაშვილისთვის გადაცემის მიზნით;

4. დუშეთის მუნიციპალიტეტის ქვეშეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ნაღვარევში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

5. დუშეთის მუნიციპალიტეტის ანანურის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ანანურში მდებარე უსახელო ქუჩის სახელდების შესახებ;

6. დუშეთის მუნიციპალიტეტის ფასანაურის ადმინისტრაციული ერთეულის დაბა ფასანაურში მდებარე უსახელო ქუჩების სახელდების შესახებ დუშეთის მუნიციალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის N69 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

7. დუშეთის მუნიციპალიტეტის ბაზალეთის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალი დასახლების შექმნის, სახელდების და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების თაობაზე წინადადების მოწონების შესახებ.

ძლიერმა თოვამ პრობლემები შექმნა

ძლიერი თოვისა და რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, მთელი მუნიციპალიტეტის მასშტაბით პრობლემები შეიქმნა. დუშეთის მუნიციპალიტეტში საავტომობილო გზებზე გაწმენდითი სამუშაოები ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა: იყრებოდა ქვიშა-მარილის ნარევი და ტარდებოდა ყველა აუცილებელი ღონისძიება ავტოტრანსპორტის გადაადგილების შენარჩუნებისათვის. მათ შორის იწმინდებოდა სოფლის შიდა საუბნო გზები.

დიდთოვლობისას მუნიციპალიტეტის ყველა შესაბამისი უწყება, ტექნიკური თუ ადამიანური რესურსი, მობილიზებულია არსებული პრობლემების დროულად აღმოსაფხვრელად და გზები ეტაპობრივად იწმინდება.

სოციალურად დაუცველი პირების დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ვებგვერდის ინფორმაციით, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო. პროექტი სოციალური შემწეობის მიმღები, შრომისუნარიანი პირების დასაქმებას ისახავს მიზნად.

საზოგადოებრივი სამუშაოების ფარგლებში, დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში ვაკანსიების რეგისტრაცია მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს.

საზოგადოებრივი სამუშაო ისეთ ვაკანტურ ადგილზე დასაქმებას გულისხმობს, რომლის შესრულება ნებისმიერი კვალიფიკაციის მქონე პირს შეუძლია. სამუშაოს მომწოდებლები კი სახელმწიფო უწყებები და ადგილობრივი თვითმმართველობები არიან.

დასაქმების პროგრამაში ჩასართავად, ბენეფიციარებს შეუძლიათ მიმართონ სოციალური მომსახურების ან დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვისცენტრებს.

პროგრამის ბენეფიციარები, 18 წლის და უფროსი ასაკის, შრომისუნარიანი პირები არიან, ვისი ოჯახის სარეიტინგო ქულა არ აღემატება 120 000-ს და იღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას.

დასაქმების პროგრამაში ჩართულ პირს, 4 წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველის სტატუსი, მასთან მიბმული ფულადი და არაფულადი სიკეთეები გარანტირებულად შეუნარჩუნდება. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში არ მოხდება სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის გადამოწმება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართული ბენეფიციარები, სოციალურ დახმარებასთან ერთად, დამატებით ფინანსურ სარგებელსაც მიიღებენ, რომელიც ნამუშევარი საათების მიხედვით ანგარიშდება და 300 ლარს შეადგენს. საზოგადოებრივი სამუშაოს შესრულებისთვის გაცემული თანხა წარმოადგენს სოციალურ გასაცემელს, რომელიც არ იბეგრება.

საზოგადოებრივ სამუშაოებში ჩართვის ნაცვლად, ბენეფიციარს დასაქმება შრომის ბაზარზე არსებულ სხვა ვაკანსიებზეც შეუძლია. სოციალურად დაუცველი პირი დასაქმების პროგრამაში იმ შემთხვევაშიც ჩაერთვება, თუ არაფორმალურადაა დასაქმებული. ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში, სოციალური შემწეობის მიმღები პირის სტატუსი არ გადამოწმდება.

თუ სოციალურად დაუცველ პირს დასაქმება არ სურს, მისი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტატუსის განსაზღვრა ყოველწლიური გადამოწმების შედეგების საფუძველზე მოხდება. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების შეცვლა ნებისმიერ დროს შეეძლება.

პროგრამაში ჩართვის მსურველებს, დამატებითი ინფორმაციისთვის, დაკავშირება შეუძლიათ სამინისტროს ცხელ ხაზზე - 15 05.

ძვირფასო მკითხველო,

თხუთმეტი წელია, **„დუშეთის მაცნე“** გამოიცემა. ამ ხნის მანძილზე უამრავი რამ მოხდა ჩვენს ცხოვრებაში, ერთად გვიხაროდა და გვტკიოდა დუშეთის ცხოვრების სიახლეები, პრობლემები, ყველაფერი, რასაც ადგილობრივი ხელისუფლება აკეთებდა და აკეთებს... და ეს საინფორმაციო ბიულეტენიც ხომ იმისათვის არსებობს, რომ თქვენი სათქმელი ხელისუფლებამდე მიიტანოს და, პირიქით, მათი გადაწყვეტილებები და ნაფიქრი გაგიზიაროთ.

სურვილი გვაქვს, კვლავაც ერთად ვიაროთ, გავუზიაროთ ერთმანეთს ტკივილიც და სიხარულიც. ამიტომაც გთხოვთ, მოგვწეროთ, გამოხატოთ თქვენი დამოკიდებულება თქვენ მიერვე არჩეული ხელისუფლების მუშაობისადმი, იმ პროექტების მიმართ, რომელიც ბოლო პერიოდში ხორციელდება დუშეთში. შევეცდებით, კვლავაც აქტიურად გავაშუქოთ ის საკითხები, რომლებიც გაინტერესებთ. რედაქცია ელის თქვენს წერილებსა და გამოხმაურებას.

რედაქცია

მოეწყო სისხლის უანგაროდ გაცემის საქველმოქმედო აქცია

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის ორგანიზებით, „ჰემატოლოგიისა და ტრანსფიზიოლოგიის ინსტიტუტის სისხლის ბანკმა“ დუშეთის მუნიციპალიტეტში სისხლის უანგარო დონაციის აქცია გამართა.

აქციაში ადგილობრივ მოხალისეებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა (მაცაცო) ნარიმანიძემ, მერის მოადგილე ოთარ ჩხეიძემ, მერიისა და საკრებულოს თანამშრომლებმა.

სისხლის უანგარო 60 დონორს სიმბოლურად მადლობის სიგელი გადაეცა.

აღსანიშნავია, რომ კორონავირუსით გამოწვეული სიტუაციიდან გამომდინარე, ქვეყანაში შეიქმნა სისხლის დეფიციტი, რამაც სისხლის ბანკში კრიზისი გამოიწვია.

გაღებული სისხლი განაწილდება საქართველოს მასშტაბით არსებულ კლინიკებში, რომელსაც გადაუდებელი შემთხვევებისთვის გამოიყენებენ.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამა ჩვენს მუნიციპალიტეტში

დუშეთის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში გაიმართა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი მოსახლეობის საერთო კრებები, სადაც ადგილობრივებმა პროგრამით გათვალისწინებული თანხის გამოყენება ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემების მოსაგვარებლად გადაწყვიტეს.

თითოეულ სოფელში მერის წარმომადგენელი და საკრებულოს მაჟორიტარი წევრი შეხვდნენ მოსახლეობას და გააცნეს 2022 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის პრიორიტეტები, რომელთა შორისაა:

სასმელი წყლის სისტემები (მათ შორის ჭაბურღილები, წყალსადენები, სათავე და გამწმენდი ნაგებობები, ჭა და ა.შ);

სარწყავი სისტემები;

სანიაღვრე არხები; ნაპირსამაგრი სამუშაოები;

გზები და გზისპირა მოსაცდელები; ხიდები, ცხაურები, ხიდბოგირები, გადასასვლელები;

გარე განათება;

სკოლების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა;

სკოლამდელი დაწესებულებები და შესაბამისი ინვენტარი;

ამბულატორიის შენობები;

სასაფლაოების შემოღობვა და კეთილმოწყობა;

სპორტული ინფრასტრუქტურა, მოედნები და მოედნების ინვენტარი; სკვერები, მათ შორის საბავშვო სკვერები შესაბამისი ინვენტარით, სარეკრეაციო სივრცეები და სველი წერტილები შესაბამისი ინვენტარით;

მინიჰესები და შესაბამისი რეაბილიტაცია/აღდგენა და სხვა.

აღსანიშნავია, რომ ამ ეტაპზე პროგრამის ფარგლებში დუშეთის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილია 2 812 000 ლარი.

არჩეულია თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრად

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი მანანა (მაცაცო) ნარიმანიძე საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა რიგით მეშვიდე ეროვნულ ასამბლეაზე ხმათა უმრავლესობით არჩეულ იქნა საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრად მცხეთა-მთიანეთის რეგიონიდან.

საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენელთა რიგით მეშვიდე ეროვნული ასამბლეა 9 მარტს გაიმართა.

აღსანიშნავია, რომ ასოციაცია აერთიანებს საქართველოს მასშტაბით ყველა მუნიციპალიტეტს და საქართველოს მთავრობის პარტნიორია ევროპის საბჭოს ადგილობრივ და რეგიონულ ხელისუფლებათა კონგრესის თვითმმართველობათა პალატაში დელეგაციის წარდგენისას.

საინფორმაციო ბიულეტენი „დუშეთის მაცნე”

ინტერნეტითაც ხელმისაწვდომია

მკითხველს საშუალება ეძლევა, ელექტრონულ ვერსიას გაეცნოს Facebook-ის დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გვერდზე.

მიწის სისტემური რეგისტრაცია დუშეთში

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ფეისბუკის გვერდის ინფორმაციით, 2022-2024 წლების განმავლობაში მიწის სისტემური რეგისტრაცია ეტაპობრივად განხორციელდება მთელი ქვეყნის მასშტაბით (ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქების გარდა). კონკრეტულ ადმინისტრაციულ ერთეულებში საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოების დაწყების განრიგის გაცნობა შესაძლებელია შესაბამის ვებგვერდზე.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო 2024 წლის ბოლომდე სისტემურ რეგისტრაციას ყველა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უზრუნველყოფს.

სისტემური რეგისტრაციის ფარგლებში მოქალაქეები საფასურის გადახდის გარეშე მიიღებენ შემდეგ მომსახურებებს:

- მიწის ნაკვეთების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი სამუშაოები;
- უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოძიება და სისტემატიზაცია;
- გარიგებაზე მხარეთა ხელმოწერების დამოწმება;
- სანოტარო მედიაცია;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარება;
- ფაქტების კონსტატაცია;
- მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობის, უფლების დამადასტურებელ დოკუმენტთან იდენტურობის დადგენა;
- მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების და მასში ცვლილების რეგისტრაცია.

განრიგის მიხედვით დუშეთის მუნიციპალიტეტს სისტემური რეგისტრაცია შეეხება:

2022 წელი:

მჭადიჯვარი - სექტემბერი.

2023 წელი:

ბაზალეთი - აპრილი;
დუშეთი - აპრილი;
გუდამაყარი - ივნისი;
ბარისახო - ივნისი;
შატილი - ივნისი;
უკანაფშავი - ივნისი;
ჟინვალი - ივნისი;
ანანური - ივნისი;
ჭართალი - ოქტომბერი;
ჭონქაძე - ოქტომბერი;
ფასანაური - ოქტომბერი;
გრემისხევი - მაისი;
ლაფანაანთკარი - მაისი;
მაღაროსკარი - მაისი;
ჭოპორტი - მაისი;
ხეობა - ივნისი.

სამუშაო შეხვედრაზე

15 მარტს დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა (მაცაცო) ნარიმანიძემ მოადგილეებთან – ვასილ წიკლაურთან და ოთარ ჩხეიძესთან ერთად მუნიციპალიტეტში 2022 წელს მიმდინარე და განსახორციელებელ პროექტების თაობაზე ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე განიხილეს ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც დუშეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტიდან და „სოფლის პროგრამის“ ფარგლებში დაფინანსდება. მერმა ისაუბრა მშენებლობებზე არსებული პრობლემური საკითხების აღმოფხვრასა და გადაჭრის გზებზე. შეხვედრას კონტრაქტორი ფირმების წარმომადგენლებთან ერთად ესწრებოდნენ სამშენებლო ზედამხედველობის კომპანიის „მშენ-ექსპერტის“ და დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები.

ქალთა საერთაშორისო დღეს

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერმა მანანა (მაცაცო) ნარიმანიძემ ქალთა საერთაშორისო დღე მრავალშვილიან დედებს, ჯანდაცვის სფეროში დასაქმებულ ქალბატონებსა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის დაღუპულ დუშეთის ბატალიონის წევრთა მეუღლეებს პირადად მიულოცა. მან, კულტურის სამსახურის ხელმძღვანელ ქეთო წიკლაურთან ერთად, მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 16 ქალბატონს სიმბოლური საჩუქრები - ტკბილეულის კალათა და ყვავილების თაიგული გადასცა. „დუშეთის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობა ყველა ქალბატონს ულოცავს ქალთა საერთაშორისო დღეს. მშვიდობიან და ბედნიერ მომავალს გისურვებთ!“ - განაცხადა მანანა ნარიმანიძემ.

მამულიშვილთა სავანე...

მწერალ თედო რაზიკაშვილის გარდაცვალებიდან 100 წელი შესრულდა

პოეტი, პროზაიკოსი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე - თედო რაზიკაშვილი 1869 წელს სოფელ ჩარგალში დაიბადა. იგი ვაჟა-ფშაველას უმცროსი ძმა იყო. მამის - პავლე რაზიკაშვილის ოჯახი უკიდურეს სიღარიბესა და გაჭირვებას განიცდიდა. თვითონ თედო, იგონებს რა თავის ბავშვობას, აღნიშნავს: „ამ ხანებში საშინლად ღარიბად ვცხოვრობდით, ტანზე ბევრი არა მეცვა რა. აბა ქალამნებს კი ვინ მაღირსებდა. ზაფხულში კი შიშველი ფეხით დავდიოდი ცხვარსა და ძროხებში“...

ყმაწვილი ოჯახში ხალხური ზღაპრებისა და თქმულებების ფანტასტიკაზე, საგმირო სიმღერებსა და ლექსებზე იზრდებოდა. ამ მხრივ დიდი გავლენა ჰქონდათ ფშაველ სახალხო მელექსეებსა და პირადად დედ-მამას, რომლებმაც მოზარდს ხალხური ზეპირისიტყვიერებისა და, საზოგადოდ, პოეზიისადმი დიდი სიყვარული გაუღვიძეს. თედო იგონებს: „მამაჩემი დიდი თაყვანისმცემელი იყო ჩვენი პოეტ-მწერლებისა, აღმერთებდა საქართველოს, იმისი სამსახური ყველაზე უდიდეს მოვალეობად მიაჩნდა. გვიამბობდა მთების პიროფლიანებზე (ე. ი. მთის გმირებზე), აგვიწერდა პოეტურად იმათ ღვაწლს და გვანატრებდა სამშობლოსათვის თავდადებას. „ვეფხისტყაოსანი“, გურამიშვილის ლექსები, ი. ჭავჭავაძის „დიმიტრი თავდადებული“ ზეპირად იცოდა. ზეპირად იცოდნენ ჩვენმა ბიძაშვილებმაც, რომლებიც მუდამ კვირა იყრიდნენ ჩვენსას თავს, კითხულობდნენ და ზოგიც ფანდურზეც დაჰმღერდა“.

განსაკუთრებული კეთილი გავლენა თედოზე, ისევე როგორც ვაჟასა და ნიკოზე, იქონია დედამ – ბარბალემ. „დედაჩემი, – წერს თედო, – მდიდარი ფანტაზიის პატრონი იყო. უბრალო რამე ამბავს ისეთი ამბით, ისეთი ფერადებით შეზავებულს გადმოგვცემდა, რომ იხიბლებოდა მსმენელი. ის რო დევებზე ან ეშმაკებზე, მოჯალაფეებზე დაიწყებდა ლაპარაკს, მე სადღაც მოჯადოებულს არსთა სამეფოში გადამიტაცებდა ოცნება და ჩემი თავი თვით მნახველ-გამგონედ მეჩვენებოდა. იცოდა აუარებელი ლექსი და ზღაპარი, ცალკე კაცთა და ქალთა ცხოვრება, ლეგენდები და ამბები ჩვენს მეფეებზედ, უფრო თამარზე და ერეკლეზედ. წაკითხულ-გაგონილსაც თავის გემოვნებაზედ გადააკეთებდა და თავისი დაბალი სასიამოვნო ხმით გვიზუზუნებდა. როცა გვიამბობდა რამე სამწუხარო ამბავს, თანა ტიროდა ხოლმე. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა. იყო – ბუნებით პოეტი, საშინელი მშვიდობისმოყვარე და უკიდურესობამდე გულკეთილი და უხვი“...

მიუხედავად გაჭირვებისა და ხელმოკლეობისა, პავლე რაზიკაშვილი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ შვილები სწორ გზაზე დაეყენებინა და მათთვის ჯეროვანი სასკოლო განათლება მიეცა.

პატარა თედოს წერა-კითხვა უფროსმა ძმამ – ნიკომ (ბაჩანამ) შეასწავლა. მალე იგი პირველდაწყებითი განათლების მისაღებად სოფელ ჩარგლის დაწყებით სკოლაში მიაბარეს. მისი მასწავლებლები იყვნენ: დავით როსტომაშვილი, ილია მათიკაშვილი. როცა თედო მესამე განყოფილებაში გადავიდა, მეფის მთავრობამ ჩარგლის სკოლა დახურა, სკოლის დახურვის მიზეზი ის იყო, რომ ჩარგალში მასწავლებლად დანიშნეს ქართულის უცოდინარი პირი, სოფლელებმა ბოიკოტი გამოაცხადეს და შვილები სკოლაში არ გაუშვეს. მასწავლებლის შეცვლის ნაცვლად იმჟამინდელმა ბიუროკრატიულმა მმართველობამ სკოლა დახურა და ბავშვებს განათლების გზა დაუხშო.

სასწავლებლის გარეთ დარჩენილი პატარა თედო საქონელს მწყემსავდა და უფროსებს ეხმარებოდა. მამა აკითხებდა ბავშვს სხვადასხვა წიგნს, ამასთან, მან ხელით გადააწერინა ყმაწვილს საქართველოს ისტორიის დიდი ნაწილი და ამით საშუალება მისცა, პატარაობაშივე გასცნობოდა სამშობლო ქვეყნისა და ხალხის წარსულ ცხოვრებას.

1882 წელს ვაჟა-ფშაველა ტოლათ-სოფელში დაინიშნა მასწავლებლად. ვაჟამ უმცროსი ძმა თავისთან წაიყვანა. აქ თედოს შედარებით კარგი პირობები ჰქონდა სწავლა-განვითარებისთვის. „ეს წელიწადი, – აღნიშნავს თედო რაზიკაშვილი, – ჩემთვინ დიდი ნაყოფიერი იყო. უკვე მეცამეტე წელში ვიყავი. თბილად მეცვა, კარგადა ვჭამდი, საქმე არა მქონდა რა. მთელი ღამეები წიგნების კითხვას ვუნდებოდი“.

თედომ გაიჩინა საკუთარი რვეულები, „როგორც მწყურვალ წყალს“, ისე ეწაფებოდა წიგნებსა და იმ გაზეთებს, რომლებიც უფროს ძმას მოსდიოდა და, თუ რაიმე ლექსსა და პოემას დაინახავდა, იწერდა. თვითონ თედო ამბობს: „ჩემს ძმას გაზეთებიც მოსდიოდა და ამან ხომ სულ გადამრია... არ გამიშვია მას აქეთ გადაუწერავი, სადაც რომ ლექსი დაბეჭდილა, ან პოემა ჩვენი პოეტებისა“.

პავლე რაზიკაშვილის ოჯახის ეკონომიური მდგომარეობა ოდნავ გაუმჯობესდა. 1883 წელს ბაჩანამ თედო გორში წაიყვანა და სემინარიასთან არსებულ რუსული სკოლის უკანასკნელ განყოფილებაში შეიყვანა. ნაქირავებ ბინაში თედო გაჭირვებულად ცხოვრობდა, ხშირად შიმშილობდა, რის გამოც ჯანმრთელობა შეერყა და სწავლას ჩამორჩა, მაგრამ სემინარიაში მაინც ჩააბარა გამოცდები და მოსამზადებელ კლასში მოეწყო, ხოლო იქიდან გორის საოსტატო სემინარიაში გადავიდა. სემინარიის კურსი წარჩინებით დაასრულა 1889 წელს.

გორის საოსტატო სემინარიაში სწავლის დროს თედო აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ამ დროს გორი წარმოადგენდა ხალხოსნური მოძრაობას ცენტრს, ამასთან აქ გაშლილი იყო ლიტერატურულ-თეატრალური საქმიანობა. თედო დაუმეგობრდა შემდგომში გამოჩენილ საბავშვო პოეტ შიო მღვიმელს (ქუჩუკაშვილს), აგრეთვე თავის მასწავლებელს, ცნობილ მწერალს - ნიკო ლომოურს.

სემინარიაში ყოფნის წლებს ეკუთვნის თედოს პირველი პოეტური ცდა. 1886 წელს დაუწერია ლექსი „მწყემსის სიმღერა“ და მოთხრობა „ნიბლია“. მწერლობისადმი თედოს სიყვარულს თვალსაჩინო ბიძგი ნიკო ლომოურმა მისცა, რომელმაც თავისი მოწაფე ლიტერატურულ სარბიელზე სამოღვაწეოდ წააქეზა. თვითონ თედო რაზიკაშვილი ამ საკითხთან დაკავშირებით იგონებდა: „თუმცა არ ვფიქრობდი მწერლობას, მაგრამ ისე მწამდა მწერლობის ღვაწლი სამშობლოს წინაშე, რომ ოჯახის გავლენას დაემატა მეტად სიმპატიური გავლენა ჩვენი ქართული ენის მასწავლებლის ნ. ლომოურისა. ამაზე მეტი საკეთილო გავლენა, არა მგონია, კაცმა კაცზედ იქონიოს. ჩემი ველური ბუნება ამისმა ღვთიურმა მოქცევამ დაალბო და გააპატიოსნა. სურვილი სამშობლო ლიტერატურისათვის სამსახურისა ამან გამიორკეცა. დღეს, უკვე ვაჟკაცი და ჭაღარაშერთული, იმავე მოწიწებას ვგრძნობ ამ ჩემთვის წმინდა კაცის მიმართ“.

ნიკო ლომოური და აკაკი წერეთელი ყოველნაირად ხელს უწყობდნენ და ახალისებდნენ თედო რაზიკაშვილს. მათი შთაგონებითა და მხარდაჭერით თედომ მალე გაითქვა სახელი, როგორც ნიჭიერმა საბავშვო მწერალმა.

სემინარიის კურსის დამთავრების შემდეგ თედო ერთი წლით უადგილოდ დარჩა. 1890 წელს კი ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ ის სოფელ ხელთუბნის (გორიდან 7კილომეტრის დაშორებით) სკოლის მასწავლებლად დანიშნა, სადაც 1905 წლამდე მუშაობდა.

დედ-მამის გარდაცვალების შემდეგ ძმები დაიქსაქსნენ: გიორგი თიანეთში დასახლდა და იქ ვექილობდა, ბაჩანა ხევსურეთში, სოფელ ბარისახოში მასწავლებლობდა, ალექსანდრე თბილისში მსახურობდა. ჩარგალში მარტო ვაჟა დარჩა. ვაჟამ მოინდომა სოფელ ჩარგალში მამის ადგილას თედოს მღვდლად დანიშვნა, მაგრამ თედო არ დათანხმდა და საბოლოოდ ხელთუბანში დამკვიდრდა. იქ მასწავლებლობასთან ერთად საზოგადოებრივ საქმიანობასა და სოფლის მეურნეობასაც ეწეოდა. სოფელ ხელთუბანში იქორწინა ღარიბი გლეხის - იშხანაშვილის ქალზე.

თედო ხელთუბანში ხალხს რაზმავდა თავისუფლებისათვის საბრძოლველად, გლეხობაში ნერგავდა რუსეთის თვითმპყრობელობის საწინააღმდეგო იდეებს, ამიტომ ჟანდარმერია მეთვალყურეობდა. რამდენჯერმე სცადეს მისი დაპატიმრება, მაგრამ თედო ყოველთვის თავს აღწევდა.

რაზიკაშვილის პირველი ლექსი „გუთნისდედის სიმღერა“ 1890 წელს „ჯეჯილში“ გამოქვეყნდა. მას შემდეგ მისი თხზულებები იბეჭდებოდა თითქმის ყველა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთში. თედომ განიცადა ხალხოსნების გავლენაც, მაგრამ როგორც მწერალი, აღიზარდა სამოციანელთა, განსაკუთრებით ი. ჭავჭავაძის შემოქმედებით პრინციპებზე. მის ნაწარმოებებში ჩაქსოვილია სამოციანელთა პროგრესული იდეები (მოთხრობები: „კოდალა“, 1900; „ცასწავალამ როგორ მოიხვეჭა სახელი“, 1906; ლექსი „ვაი ისე თუ სოფელმა...“, 1893 და სხვა). რაზიკაშვილის შემოქმედების მთავარი თემებია: პატრიოტიზმი (ლექსები: „ძმასთან მიწერილი“, 1891; „არაგვს“, 1898; „აკაკის“, 1919; მოთხრობა „ცირცელი“, 1899 და სხვა), ადამიანის რაობა და მისი ამქვეყნიური დანიშნულება (ლექსები: „ელეგია“, 1891; „გამხნევდით“, 1892; პოემა „შავი ფიქრები“, 1891 და სხვა), რევოლუციური სინამდვილე (ლექსები: „რაღა დროს ტკბილი ხმებია“, „გაზაფხული“, ორივე 1905; მოთხრობები: „ყორანი“, დაიბეჭდა 1934; „აშუღი მიმინო“, 1902; „გაზაფხულის სუნი“, 1905; „მოვლენ! მოვლენ!“, 1906 და სხვა)..

თუმცა რაზიკაშვილი უმთავრესად საბავშვო მწერალი იყო. საბავშვო მოთხრობებში გადმოცემულია ქართველი ხალხის ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა. ისინი მკითხველს ხიბლავს მდიდარი ფანტაზიით, უშუალობითა და გულწრფელობით, მსუბუქი და ხატოვანი ენით, ბავშვს ძალდაუტანებლად აწვდის ცოდნას ბუნების მოვლენების, ცხოველებისა და ფრინველების შესახებ („ნიბლია“, 1886; „იის ამბავი“, 1890; „გარიელა“, 1892; „ფითრი“, 1896; „მონადირე“, 1903; „ქორის ბახალა“, 1908 და სხვა).

თედო რაზიკაშვილმა დიდი როლი შეასრულა ქართული ფოლკლორისტიკის განვითარების საქმეში. მის მიერ შეკრებილი ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშები პრესაში ქვეყნდებოდა.

მწერალი გარდაიცვალა 1922 წელს.

დაკრძალულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

ქ. დუშეთის სამუსიკო სკოლა - ფოტოებზე შემორჩენილი წარსული...

დუშეთის სამუსიკო სკოლის პედაგოგები 1982წ.

დუშეთის სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი 1984წ.

რითმიკის მოსწავლეთა კლასი 80-იანი წლები

ვებერების ოჯახი

დუშეთის სასულე ორკესტრი
მარცხნიდან სხედან
1. ზაქრო დიაკვნიშვილი
2.ხელმძღვანელი-რეზო შაბურიშვილი
3.რუბენ ფასეიშვილი
4.ვანო მარკოზიშვილი
5.ლავრენტ ბერძენიშვილი
მეორე რიგში
მარცხნიდან დგანან:
1. არჩილ ახალაშვილი
2.შალვა სამაშვილი
3.მიტო ახალშენიშვილი
4.გიგუშა კარიაული
5.არჩილ ჩორგოლაშვილი
მესამე რიგში
მარცხნიდან:
1.მიტო კორინთელი
2.იოსებ ქონქაძე
3.ვალოდია(გვარი უცნობია)
წინ ზის ნიკოლოს სეთურიძე
გადაღებულია 1924 წელს

პედაგოგები ნ.ნ. ველთაური-ფორტე პიანო
გია ჯანგირაშვილი-კლარნეტი

პედაგოგი ციური ბახტაძე

რედაქტორი
მიხეილ ქონქაძე
✉ მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქ.№27
(ადმინისტრაციული შენობის პირველი სართული).
გაზეთი დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს „ფავორიტი სტილში“

დუშეთის მაცნე
გამოდის 2007 წლის მარტიდან
დაბეჭდილ მასალაზე პასუხისმგებელია ავტორი, ან _ მითითებული ორგანიზაცია